№ 51
ოთხშაბათი, 8 მარტი 1895

1877—1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

3

ოთხშაბათი, 8 მარტი 189[illegible]

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

5 ს მარტს, ქ. გორს გარდაიცვალა
თავადის ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ასული
კნეინა სალომე აფხაზისა,
რასაც იუწყებიან ძენი გარდაცვალებულისა თავადნი ალექსანდრე, გიორგი და ივანე დიმიტრის ძენი აფხაზნი დეიდითურთ.
პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად იქნება გარდახდილი ყოველს დღეს დილის 12 საათსა და საღამოს 7 საათზედ; განსვენებულს წირვას მოასმენინებენ სამშაბათს, 7 მარტს, დილის ათის საათზედ, გორის საკრებულო ტაძარში; ხოლო დაკრძალვა გვამისა იქნება ოთხშაბათს, 8 ს მარტს ნაშუადღევის ორის საათის ნახევარზედ, ქ. ტფილისში, ნავთლუღის მახლობელს წმ. ბარბარეს ეკკლესიაში. (2—1080—2)

ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ
ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას.
მსურველთ მოვგმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.
15—12)

„ქართველ არტისტების ამხანაგობის ორი წარმოდგენა, რომლებიც დანიშნული იყო ოთხშაბათს, 8 მარტს დ პარასკევს, 10 მარტს, მთავრობის განკარგულებით გადადებულ იქმნა: პირველი—ოთხშაბათს, 15 მარტისათვის, და მეორე—ხარასკევს, 17 მარტისათვის. ბილეთები, რომელიც ნაყიდია ამ ორის წარმოდგენისა, თავისს ძალას არა ჰკარგავს.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.
(3—უ—1)

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 7 მარტს, დეპეშა მოუვიდა ქალაქის გამგეობას პეტერბურგიდგან, რომ განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის ცხედარი დღეს, საღამოს 4 საათზედ, იქნება გამოსვენებული ნოვოროსიისკის გზითაო. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ მიცვალებულის ცხედარს ნოვოროსიისკში დაჰხვდეს და ქალაქამდე მოაცილოს გამგეობის ერთი მოსამსახურეთაგანი, განსვენებულის ნათესავი ვ. ს. ბალიბოსოვი.

*** პანაშვიდი განსვენებულის პ. ა. იზმაილოვის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება კვირას, 12 მარტს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზედ ვანქის ტაძარში.

*** გუშინ, 7 მარტს, ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ივანენკო, გამგეობის წევრნი ბ-ნნი ხოსროევი და არღუთინსკი-დოლგორუკი და ქალაქის მდივანი ს. თ. ჰრელაშვილი იყვნენ განსვენებულის პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვის ღედასთან, მიუსამძიმრეს და გულითადი მწუხარება განუცხადეს საბჭოს მხრივ.

*** ორშაბათს, 6 მარტს, საბჭოს კრებაზედ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი ეპისკოპოსის სურენიანის მიერ განსვენებულის ქალაქის მოურავის პ. ა. იზმაილოვის სულის მოსახსენებლად. შემდეგ ა. ა. ივანენკომ სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის ქალაქის მოურავის მოღვაწეობის შესახებ და საბჭოს კრება დაიწყო. საბჭომ შეიწყნარა ქალაქის გამგეობის დადგენილება, მხოლოდ პენსიის რაოდენობის განსაზღვრა განსაკუთრებულს კომისიას მიანდო. ამ კომისიის წევრებად იქვე ამორჩეულ იქმნენ: პ. ა. ოპოჩინინი, ა. ა. იოანესიანი, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი, მ. ი. თამამშევი, მ. ი. დოლუხანოვი, ა. ს. ბაბოვი და სხ., სულ ცხრა ხმოსანი. ამის შემდეგ საბჭო დაიშალა.

ხსენებული ახლად ამორჩეული კომისია იმ ღამესვე შეიკრიბა და დაადგინა: დაენიშნოს განსვენებულ პ. ა. იზმაილოვის სახლობას 3,000 მან. რომლიდგანაც 1,800 მან. ქვრივს მიეცეს, ხოლო 1,200 მან. იმის მცირე-წლოვანს ვაჟიშვილს, ვიდრე იგი სწავლას დაასრულებდეს და სრულწლოვანი შეიქნებოდეს.

*** რადგან ამ ახლო ხანებში კავკასიაში უნდა ჩამოვიდეს სენატორი კონი აქაურ სასამართლო დაწესებულე ათა სარევიზიოდ, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ბიკოვმა განკარგულება მოახდინა, რომ გასინჯონ მომრიგებელ სასამართლოების საქმეები და რევიზია გაახლონ ამ სასამართლოებში.

*** გერმანიის კონსულად ტფილისში მთავრობამ დამტკიცა დოქტორი კარლ მიულიგი.

*** სასანიტარო და საექიმო ინსპექტორი ექიმი სტეფანოვი ამჟამად სთხოვს საქართველოს ეგზარხოსს, სომეთა ეპარქიის უფროსს, შეიხულისლამს, მუფთის და ებრაელთა რაბინს, რათა მათ განკარგულება მოახდინონ, რომ მათ უწყების ქვეშე მყოფთა აუწყონ სასტატისტიკო ბიუროს, რომელსაც ამ ახლო ხანში ჰმართავს ქალაქის გამგეობა, ცნობა ყოველ ქორწინებისა, დაბადებისა და ნათლობისა და აგრეთვე სიკვდილის შესახებ. სიკვდილისავე შესახებ ცნობებს ამ ბიუროს პოლიციაც გაუგზავნის.

*** ნაალდგომევს ტფილისში ჩამოვა და კონცერტს გაჰმართავს გამოჩენილი მომღერალი არტისტი მაძინი. მაძინი მოუწვევია ბ. მირიმანიანცს, რომლის მაღაზიაშიაც ამჟამად იღებენ ხელის-მომწერთაგან ფულს. ლოჟის ფასი ოთხი თუმანია, პარტერში ბილეთი ჰფასობს 18 მან, 5 მანეთამდე; ქანდარის ბილეთი 2—3 მანეთამდე. მაგრამ საქმე ამ ფასებში არ არის, ხელის-მომწერთ ამ კონცერტის ფული ეხლავე შეაქვთ და მაღაზიაში ნოქარი ცალკე რვეულში სწერს ფულის შემტანთა გვარებს და თითონ ხელის მომწერთა და ფულის შემტანთ კი არა-რა ბარათს და არც ბილეთს არ აძლევს. ამგვარად ნოქარს რომ დაეკარგოს ეს რვეული, ვერავინ ვერ დაუმტკიცებს ბ ნს მირიმანიანცს, რომ ფული შეუტანია. ეს ამბავი ზოგიერთებმა ბ ნს პოლიცმეისტერს გამოუცხადეს.

*** კავკასიელ ლიუტერანთა სინოდი გარდაუწყვეტია, რომ წელს ერთერთს ჩვენებურს კოლონიაში კრება მოეხდინა სკოლების მასწავლებელთა, ლიუტერანთა სამღვდელოების თანადასწრებით. ეს გარდაწყვეტილება პასტორმა წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებელს. ეხლა მთავარ-მართებლის კანცელარიამ გამოუცხადა კოლონიების უფროსს პასტორს, რომ კოლონიების საეკლესიო სკოლები კავკასიაში სწავლა-განათლების სამინისტროს მმართველობაშია იმ წესით, როგორითაც სხვა სკოლებიო. ამისათვის ამ სკოლების მასწავლებელთა კრება შეიძლება მხოლოდ სამოსწავლო მთავრობის მოწოდებითა და უთუოდ სამოსწავლო დირექციის წარმომადგენელთა ხელმძღვანელობით. ამ მიზეზებისა გამო უფროსს პასტორს გამოეცხადა, რომ ლიუტერანთა სინოდის გარდაწყვეტილება კოლონიების მასწავლებელთა კრების ნებართვა წელს არ შეიძლება მიეცეთ, თუ ამაზედ თვით სამოსწავლო მზრუნველის თანხმობა არ იქნებაო.

*** სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში ეს რამოდენიმე ხანია გამართულია თეატრში მისავალთან ერთს ოთახში ფონოგრაფი ედისონისა. ფონოგრაფს მშვენიერად აქვს გადაღებული ქართული ხმები. არის გადაღებული ლექსი აკაკისა „აღმ რთ-აღმართ“, რომელიც უმღერია ნ. გაბუნია-ცაგარლისას. ჩვენს არტისტს კ. ყიფიანს წაუკითხავს ლექსი ჩვენის პოეტის მამია გურიელისა “ადამიანი“ და ფონოგრაფსაც მშვენიერად შეუნახავს ეს ლექსი და ძლიერ კარგად იმეორებს. ყველაზედ ჩინებულად იმეორებს ფონოგრაფი აბდულ-ბაღის საზანდრის ხმებ ა; ბაიათი, შაჰნაზი, რახბადი და სხვა.

*** წარსულის თვის უკანასკნელს რიცხვს გაჰგზავნა მთავრობამ უფროსი ბეითალი ბოლოტოვი ს. ბოგვში (ტფილისის მაზრა) იმ ავადმყოფობის გამოსაკვლევად, რომელიც აქაურ მცხოვრებთა საქონელზედ გაჩენილიყო. ბ ნი ბოლოტოვი რომ მივიდა, იმ ხანებში ავადმყოფობა აღარ აღმოჩნდა, მხოლოდ როცა მცხოვრებლებს დაეკითხა და გამოიძლია.

## ფელეტონი

### კიდევ ერთი უკუღმართობა „კვალი“-სა.

„კვალის“ მე-11 №-ში დასტამბულია ერთი უცნაური და ამასთანავე უაზრო—„მცირე შენიშვნა“. ეს „შენიშვნა“ გამოუწვევია ბ-ნის ვ. წ.-ს წერილს—„საზოგადო მოღვაწეობის პროგრამა ბ-ნ გ. წერეთლისა“, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად დაბეჭდილი. „შენიშვნის“ ავტორი ჯერ „ივერიის“ რედაქციას უკიჟინებს: „ამ სტატიაში ავტორი, (ესე იგი ვ. წ.) სრულიად ეწინააღმდეგება იმ სამეურნეო ურთიერთნდობის ბანკის დაარსებას, რომლის წესდების შედგენაში ასეთი დიდი მონაწილეობა მიიღო თვით „ივერიის“ რედაქტორმა. „ივერიის“ რედაქციას შენიშვნაც-კი არ მიუცია ამ სტატიისათვის თავისს მხრივ. სჩანს, რომ „ივერიის“ რედაქცია სრულიად ეთანხმება ამ აზრს“.

თუ როგორს მნიშვნელობას აძლევს „ივერია“ იაფ კრედიტს, ამის შესახებ გაზეთს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი. შორს რომ არ წავიდეთ, მოვიყვანთ მხოლოდ ერთს ადგილს უკანასკნელის წერილიდგან, რომელიც „ივერიის“ მე-32 №-ის მოწინავე წერილად იყო დასტამბული: „საკრედიტო საგანი ამ უკანასკნელს ხანებში მრავალის მხრით გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი შრომა და მუშაობა უნდა, რომ სანატრელს მდგომარეობაში ჩადგეს. პირველი და უახლოვესი მოთხოვნილება ყოველ გვარის კრედიტისა—მისი სიიაფე და ადვილად მოპოვება არის, მაგრამ ჯერ ეს მოთხოვნილება არ არის საკმაოდ დაკმაყოფილებული“ და სხვა და სხვა... გვიბრძანეთ, ბ ნო „კვალის“ პუბლიცისტო: მართლა „სჩანს, რომ „ივერია“ სრულიად ეთანხმება“ ვ. წ-ის მიერ გამოთქმულს აზრს იაფის კრედიტის შესახებ?! ხოლო რაც შეეხება იმას, რისთვის დავსტამბეთ ბ-ნ ვ. წ.-ის წერილი, ამის, აი რა უნდა მოვახსენოთ „კვალის“ პუბლიცისტს:

კრედიტის საქმე ძლიერ რთულია; მხოლოდ გონება გაუხსნელსა და გაწვრთნელს ანუ გაუნვითარებელს კაცს ჰგონია, რომ კრედიტის ავ-კარგიანობა ისე ადვილად გასაგები იყოს, ისე ცხადი იყოს ყველასათვის, როგორც, მაგალითად რომელიმე მათემატიკური ჭეშმარიტებაა! მხოლოდ გონება გაუხსნელს კაცს ჰგონია, რომ იაფის კრედიტის შემოღებით ეკონომიურს ცხოვრებაში სამოთხე დამყარდება, რომ იაფი კრედიტი დაიხსნის ჩვენს მიწათ-მფლობელს და მიწათ-მომქმედს „კაპიტალის“ კლანჭებიდგან, რომ იაფი კრედიტი ის უებარი წამალია, რომელსაც შეუძლია ძირეულად მოსპოს დღევანდელი ეკონომიური უსამართლოება! როდესაც „ივერია“ სწერდა იაფის კრედიტის საჭიროების შესახებ, იგი სთვლიდა ამ კრედიტს მხოლოდ პალიატივ საშუალებად, იმგვარ საშუალებად, რომლის მეოხებით ხალხს შეეძლება არ განადგურდეს იმ დრომდე, როგორმე მიაღწიოს იმ ჟამამდე, როდესაც ძირეული ეკონომიური რეფორმა ნამდვილს და არა მოჩვენებითს კეთილ-დღეობას დაამყარებს ქვეყანაზედ.

ეს დედა-აზრიც არა ერთხელ გამოთქმულა „ივერიის ფურცლებზედ და შორს რომ არ წავიდეთ, მივმართოთ ისევ ზემოხსენებულის მოწინავე წერილის განგრძობას მე-36 №-ში. იქ ნათქვამია: „დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საეკონომიო მეცნიერებამ მიწათ-მფლობელობაში ერთი პრინციპი აღიარა, რომელსაც მიწის ნაციონალიზაცია ეწოდება. ამ ცნების ძალით მიწა არ შეადგენს კერძო საკუთრებას, იგი მთელის ერის, სახელმწიფოს საკუთრება არის და დროებით აბარია მას, ვისაც მუშაობა და შრომა შეუძლია.„ ივერიის“ მე 33 №-ში სწერია:

„როდესაც წარმოების იარაღნი, მათ შორის მიწაც, ერის საერთო საკუთრებად გახდება, მხოლოდ მაშინ სიმდიდრე და ყოველი ნაწარმოებიც საერთო კუთვნილებად გარდიქცევა.“ მანამდის-კი ესა თუ ის ეკონომიური ზომა-საშუალება მხოლოდ ღრმა ჭრილობაზედ დადებული „მალამოა“, მალამო, რომლის დანიშნულებაა მხოლოდ ამ წუთის ტკივილი დააწყნაროს, დაამოს და მისცეს საშუალება, რომ მთელს ტანს განგრენა არ მოედოს, სანამ დოსტაქარი რადიკალურ ოპერაციას არ მოახდენს!

ბ-ნ ვ. წ–ის წერილის დედა-აზრიც ამაში გამოიხატება. ის ამბობს, რომ ჩვენის ერის ეკონომიურად დაქვეითების „მიზეზი ძლიერ ღრმა არის და ძნელად თუ კრედიტის სიიაფით გასწორდეს საქმეო.“

მერე, ეს აზრი მიგაჩნიათ სასაცილოდ, ბ-ნო „კვალის“ პუბლიცისტო?! სასაცილოდ მიგაჩნი-

ძია, შეიტყო, რომ იანვრის შუა რიცხვებში ექვსი საქონელი გამხდარიყო ავად სხვა და სხვაგან. პირველი ხარი იმ გლეხისა გამხდარა ავად, ომელიც ტფილისში ჩამოსულიყო. ექვსის საქონლისაგან სამი მომკვდარა და სამიც მორჩენილა. ბეითალის გამოკვლევით ეს სენი ნიშნობლივ ქირი ყოფილა და, თუმცა ამ ხანად ავადმყოფობა საქონლისა არ არის, მაგრამ მაინც ყოველივე საშუალება მიიღო, რომ სენმა კიდევ თავი არ იჩინოს: ის ადგილები, სადაც ავადმყოფი საქონელი იყო, სულ წამლებით გასწმინდეს.

*** ქალაქის სხვა-და-სხვა ქუჩებში ღამ-ღამობით ვიღაცა მაწანწალები დადიან და გამვლელ-გამომვლელთ მოსვენებას არ აძლევენ, მისდევენ და უკივიან; ამ ვაჟბატონებისაგან არც მცხოვრებლებსა აქვთ მოსვენება, კარებს ურახუნებენ და მცხოვრებლებს ძილს უფრთხობენ. ამნაირი შემთხვევა რამდენჯერმე შენიშნულია ავჭალის ქუჩაზედ. კარგი იქნებოდა, პოლიციას ყურადღება მიექცია.

*** ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ 3 მარტს ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელსაც თურმე მ. პირობა მისცა, ცოლად გაგყვებიო და მერე-კი უარ განუცხადა, რევოლვერით თავი მოიკლაო. მაგრამ არ გვატყობინებენ, ვინ არის ეს ყმაწვილი კაცი.

რა უბედურებაა, ნეტავ, რომ ქუთაისში ასე ხშირია ყმაწვილ კაცებისაგან თავის მოკვლა! თავის მოკვლის მიზეზი ხან სახლის ქირის მიუცემლობაა, ხან გიმნაზიაში შემთხვეული უსიამოვნება გაკვეთილების უცოდინარობის გამო და ხანაც ასეთი, როგორც, ამ ჟამად, სიყვარული. ნუ-თუ სხვაგან არ ხდება ასეთი ამბები, მაგრამ თავს-კი არ იკლავენ. არ ითქმის, რ მ ქუთაისი მხნეობის მომგვრელი ალაგი იყოს, ამ ჟამად!

*** ,,ნოვოე ვრემია'' იუწყება, რომ მინისტრს ერმოლოვს შეუტანია მინისტრთა კომიტეტში წინადადება, რომლითაც თხოულობს, რომ მიეცეს მას ნება დროგამოშვებით შავის-ქვის მწარმოებელთა კრებები მიიწვიოს ხოლმე მათის სხვა-და-სხვა გაჭირვების განსახილველად.

*** ქ ბათუმი: 2 მარტს რკინის გზის მუშა, ქუთაისის მაზრის მცხოვრები გლეხი ოქროპირა ვაშაყმაძე, რომელიც სადამოთი ანგარიშის მისაღებად მიდიოდა კანტორაში, მანევრის ლოკომოტივმა შუაზედ გასწყვიტა. ვაშაყმაძე მაშინვე გარდაიცვალა.

## კორესპონდენცია.

**სოფ. ბორჩხა,** (ჭოროხის ხეობა), 3 მარტს. როგორც მოეხსენება «ივერიის“ მკითხველს საზოგადოებას, ს. ბორჩხა მდებარეობს ბათუმიდგან 45 ვერსის მანძილზედ. თვითონ ბორჩხა კლდიანს გორაზეა ჭოროხის ნაპირას წამომართული და მიწის მოსავალი სამყოფი აქ არავის მოსდის, რადგან ქვიანი ნიადაგია; ჭირნახული ზაფხულის სიცხეებისაგან იწვის. მიუხედავად ამისა, მთელს ჭოროხის ხეობაში ბორჩხა უფრო შეძლებულ და მდიდარ სოფლად ითვლება; ეს ასეც უნდა იყოს, რადგან აქ აკეთებენ თიხის ჭურჭელს, რომელსაც კარგ ფასად ჰყიდიან ბათუმში და ხან-და-ხან ზაფხულობით ტრაპიზონშიაც-კი მიაქვთ ნავებით, (როდესაც ზღვაზედ კარგი ამინდია). ოსმალეთის მფლობელობის დროს ბორჩხაში 137 კომლი მოსახლე ითვლებოდა თურმე, დღეს-კი 22 მოსახლეა დანარჩენი ოსმალეთში გადასულა. უწინდელს დროს ამდენი მცხოვრებლები ირჩენდნენ თავს ამ ჭურჭლისა და აგურ-კრამიტის ფასით, რადგან აქაურ თიხიდგან მშვენიერი დ მაგარი გამოჰყავდათ ყველა ეს საჭირო მასალა. დღეს-კი აქ კრამიტს არ აკეთებენ, რადგან უცხოეთიდგან მიტანილი უფრო იაფად ჯდება ბათუმში, ვიდრე აქაური და მერე ამ საქმის მცოდნენიც აღარ დარჩენილან. გარდა ამ ხელობისა, ბორჩხელები უპირველეს მენავეებად ითვლებოდნენ ჭოროხის ხეობაში და ამითაც-კარგა ბევრს ფულს იღებდნენ (ეხლაც ბევრი კარგი მენავეა). ამ გარემოებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ბორჩხის დაახლოებით ოთხი ხეობაა კარგა დიდი სოფლები, სადაც 500-დის მოსახლე ითვლება, ე. ი. მურღულისა, დევსქლისა, ჩხალისა და კელასვურისა. მთელი სამ-ოთხ ხეობის ჭირნახული ბორჩხაში ისყიდება და აქედგან იგზავნება სხვა-და-სხვა ქვეყნებში. ამას გარდა ბათუმიდგან წამოსული ვაჭრები აქ დგებიან და აქედგან ბორჩხალელთა დახმარებით იკეთებენ საქმეს ამ ხეობის მცხოვრებლებთან. საჭიროება თუ მოითხოვს, ბორჩხელები გაჰყვებიან ვაჭრებს სოფლიდგან სოფელში, რომ არავინ არა აწყინოს-რა და საქონლის აღებაშიაც შემწეობა მისცეს. ამის გამო ესენი იმათგან გვარიანს სასყიდელს იღებენ თავიანთის ჯაფის ფასად. ამის მეოხებით ბორჩხელებს, ვინც-კი აქ დარჩენილან, უფრო მეტი ვაჭრობის შნო და უნარი ეტყობათ სხვა სოფლელებთან შედარებით. ოცის წლის ზედას ვერ ჰნახავ აქ იმისთანას, რომელსაც ადესიდგან მოკიდებული შავის ზღვის ნაპირი ქალაქები არ დაეაროს და იქაური ცხოვრების ამბავი არ გიამბოთ. თუმცა ამ ზღვის პირის ქალაქების ურიებისაგან ამათ ბევრი ზიანი უნახავთ, მაგრამ მაინც სიამოვნებით იგონებენ იქაურობას და, როგორც ორს-სამს ნავს ხილს იშოვნის, მაშინვე იქით მიაქვს და ასაღებს.

ასეთის აღებ-მიცემობის გამო მთავრობას დაუარსებია 1879 წელს აქ „ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება“. მართლაც ამ პატარა სოფლიდგან იმდენი შემოსავალი აქვს ამ განყოფილებას, რომ ხარჯსაც ჰფარავს და ხაზინასაც სარგებლობა ჰრჩება. მხოლოდ ერთი რამ არა-სასიამოვნო ნაკლი ჰქონდა ამ განყოფილებას, რომელსაც ჯაფისა და წვალების გარდა, ხარჯიც ბლომად უნდებოდა დღემდის. ეს არა სასიამოვნო მიზეზი ის გახლდათ, რომ მცირე-რამ ნივთის გაგზავნა გდომებოდათ, აქ არ მიიღებდნენ, თუ საბაჟო ბეჭედი არ ექნებოდა გასაგზავნს ნივთს დასმული. ამ გვარად ნივთი ჯერ ბათუმში უნდა ჩაგეტანათ და ან ორჯოხის საბაჟოში, (ორჯოხის საბაჟო-კი ართვინიდგან ორმოცს ვერსზეა აქედგან). როგორც მოგეხსენებათ, ამ სიშორეზედ წასვლა-წამოსვლის დიდი ხარჯი და დღეების დაღამება ეჭირვებოდა, რომელიც ფუხრისათვის დიდად საგრძნობელია. ბათუმში რომ აქაურს ფუხარს ჩაეტანა ნივთი, იმას ხომ ერთი ,,აბუკატი'' უნდოდა, რომ ესწავლებინა საბაჟოს გზა და საქმე გაერიგებინა. ამ ჯაფისთვის „აბუკატს“ ხომ სასყიდელი დასჭირდებოდა, ასე ხომ 3 მანეთად ღირებულის ნივთის გაგზავნისათვის 5—7 მანეთი მაინც უნდა დაეხარჯა და რამდენიმე დღეც დაეღამებინა.

ეს რომ სიმართლე არ არის მოკლებული, იმითი შეგვიძლიან დავასაბუთოთ, რომ ამ სამის თვის წინად სამხედრო გამომძიებელს ჩემსას ხელმწიფო ბეჭედი დაჰრჩა, რომლის გაგზავნისათვის თქვენმა უმორჩილესმა მონამ 6 მანეთი დავხარჯე კაცის გაგზავნა-გამოგზავნის გარდა. მასთან ვის არა ვთხოვე ბათუმში, რომ შემწეობა მიეცათ ბიჭისათვის და ბეჭედი გაეგზავნინებინათ. მაგრამ სამწუხაროდ ბათუმშიაც-კი, სინამდის საბაჟოს ბეჭედი არ ექნება გასაგზავნს ნივთს დასმული, მანამდის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში არ იღებენ. სწორედ საკვირველი იყო სახელმწიფო ბეჭედი, რაღა ბეჭედით შემოწმება ეჭირვებოდა, მაშინ როდესაც ზედვე იყო გამოჭრილი, თუ რა იყო, ან ვის ეკუთვნოდა გასაგზავნი ბეჭედი. ეს სწორედ ძველის ძველი პორტო-ფრანკოს ადათია, რომელმაც თავისი დრო უკვე მოიჭამა და განისვენა; აქ-კი აქამდის არ დაუმარხიათ. ჩემის ფიქრით ამ უხერხულობის თავიდგან აცდენით მართლაც დიდს ჯაფას ააშორებდნენ, როგორც ბათუმლებს აგრეთვე სოფლელებს, ახლა-კი ჩვენდა სასიამოვნოდ ჩვენმა ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა უფ. ვასაძემ იშუამდგომლა, სადაც ჯერ იყო, რომ ყოველივე ნივთი მიეღო საბაჟოს უბეჭედოთ და ნება-რთვაც მოუვიდა.

ი. ჯაიანი.

## გაზაფხული.

აგერ მოდის გაზაფხული,
ჰფენს ქვეყანას სიხარულსა:
ყველას ტკბილად ჩასჩურჩულებს
იმედსა და სიყვარულსა...

ყვავილებით მოქარგულსა
მინდორს ამკობს დილის ცვარი—
„გაზაფხული, გაზაფხული“,
გაიძახის მთა და ბარი!

მაღლა მთებზედ თოვლი დადნა
მოქუხს, მოაქვს ქვა და ყორე,
თან შესძახის არე-მარეს:
—„გაზაფხულდა, გაიხარე!“

მთლად ბუნება იღიმება,
მორთული და მოკაზმული,
მეც მას მირჩევს, მეუბნება:
„აწ ხომ დადგა გაზაფხული“!..

—

მართალია—გაზაფხული
ყველას ატკბობს და ახარებს,
მაგრამ მე რა? თუ რომ იმედს
ახლოს აღარ მომაკარებს?!.

როს დავკარგე ყველა, რაც-კი
სხვას ამხნევებს, ელხინება;
როს სიყვარულს ბნელი ჰფარავს,
ბოროტ სულად მევლინება!..

ან სად არის გაზაფხული
სიმართლის და აღდგინების,
ვის მოვთხოვო ჩაგრულთათვის
სიტყვა ხსნისა და მშვიდობის!?

ვხედავ, ვხედავ, რომ ბუნებაც
მე დამცინის, დამხარხარებს,
მუდამ ცრემლით მასაზრდოებს,
ნიშნ-მოგებით სხვას ახარებს...

მაგრამ არა! ამ ჩემს ცრემლში
სულ სხვა ძალა იფარება,
დრო მოვა და თვით სალს კლდესა
გულში ლახვრად გაეყრება!

აი, მაშინ მეც მოვილხენ,
სალამს ვუძღვნი გაზაფხულსა
ია-ვარდით ავაყვავებ
იმედსა და სიყვარულსა!..

მანამდის-კი ისევ, ცრემლო,
შენ მოგმართავ, მანუგეშე;
დამადნე და შუამდგომლად
წარმაგზავნე ღვთის წინაშე!!...

ინ-ანი.

95 წ.—7 მარტს.

## რუსეთის ცხოვრება.

ფინლიანდიაში, რომელიც რუსეთის იმპერიის ერთს ნაწილს შეადგენს—კარგა ხანია, რაც არსებობენ ეგრედ წოდებული სახალხო უნივერსიტეტები. ამ უნივერსიტეტებს მიზნადა აქვთ საერთო განათლება გაავრცელონ ხალხში და მით გონება გაუხსნან მას. ამ ჟამად რვაზედ მეტი უნივერსიტეტია აქა-იქ დაფუძნებული. ამ სასწავლებლებში უმეტეს ნაწილად ლექციებს სტუდენტები კითხულობენ. რომ უფრო კარგად დაეყენებინათ საქმე და მეტი უნივერსიტეტები გაეხსნათ ფინლიანდიის სეიმმა სთხოვა მთავრობას ფულით შემწეობა, მაგრამ რუსეთის უმაღლესმა მთავრობამ უარი განაცხადა თხოვნაზედ. ნუ გაგიკვირდებათო, იძახის „ნოვ. ვრემ.“-ს კორესპონდენტი, რომ ამ სამადლო საქმეს უმაღლესმა მთავრობამ მხარი არ მისცაო. საქმე ის არის, რომ ამ უნივერსიტეტების შემწეობით ფინლიან-

---

ათ ის, რაც ახლანდელს ეკონომიურს მეცნიერებას ჭეშმარიტებად ჩაუთვალია?! [1]) ჩვენ გვინდოდა გვერჩია თქვენთვის პოლიტიკურ ეკონომიის ელემენტარი ცოდნა მაინც შეგეძინათ, მაგრამ თქვენმა სიბრალულმა შეგვაჩერა: ისედაც არეულ-დარეული გაქვთ დავთარი და ახლა რომ მეცნიერების შესწავლას შეუდგეთ, ვაი-თუ უარესი მოგივიდეთ?!

ჭეშმარიტად სამწუხარო ამბავაა, რომ პუბლიცისტი, რომლის სამეცნიერო იარაღი ორ გროშად ღირს, ასის თუმნის თავ-მომწონეობით დასცინის და ჰლანძღავს ყველას, ვინც იმის საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას ჰბედავს! მაგრამ, საკვირველი აქ არა არის-რა—ასეთი საქციელი თვისებაა ყოვლის უვიცისა და უმეცარის კაცისა.

ბ-ნის ვ. წ.-ის წერილის მეორე ნახევარში ის აზრია გაყვანილი, რომ „ადმინისტრატიულის განკარგულებით დაწესებული წეს-წყობილება არ არის საფუძველი ეკონომიურის ფორმისათვის“. შემდეგ ვ. წ. სამს საკითხს იძლევა. როგორც ზემოხსენებული აზრი, ისე სამი საკითხიც სრულიად კანონიერია პოლიტიკურ ეკონომიის მიხედვით. ყველა ამ აზრების დასასურათებლად ბ. ვ. წ.-ს რამდენიმე მოსაზრება მოჰყავს, რომელიც მცირეოდნათაც არ ეწინააღმდეგება თანამედროვე მეცნიერებას დ ევროპის ისტორიულს გამოცდილებას [2]). პირველს წინადადებას, რომ კრედიტი სამუდამოდ ვერ იხსნის წვრილ მემამულეს კაპიტალის დაჩაგვრისაგან, ვ. წ. ასაბუთებს, სხვათა შორის, ამგვარად: „თუ-კი ფულს, რომელსაც ბანკიდგან გამოიტან, რიგიანად ვერ გაუძღვები, ვერაფერს მოახმარ, ვერაფერს მოაგებინებ, როგორ-ღა გარდაიხდი ვალს, რაც უნდა მცირე სარგებელი იყოს?! თუ-კი უცხო ქვეყნების კონკურენციის გამო პურისა და სიმინდის ფასი თან-და-თან იკლებს, თუ-კი გლეხსა და მემამულეს იმდენი ჭირნახული არ მოსდის, რომ ოჯახიც გამოჰკვებოს და ყოველგვარ მოთხოვნილებასაც გაუძღეს, საიდგან უნდა გარდაიხადონ ვალი“?. მეორე მოსაზრებას, რომ ადმინისტრატიულის წესით არ შეიძლება ამა თუ იმ ეკონომიურის ფორმის დამყარებაო, ბ ნი ვ. წ. არაფრით არ ასაბუთებს, იმისთვის, რომ ეს აქსიომაა დღეს, იმისთვის, რომ ეკონომიური ფორმაა ის საფუძველი და საძირკველი, რომელზედაც შენდება იურიდიულ-ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ფორმა და არა vice-verso!

ასეა თუ ისე, ბ-ნის ვ. წ.-ის იჭვიანობა იაფის კრედიტისა და ასსოციაცია-კოოპერაციის, როგორც უებარო წამლებისა ყურადღების ღირსია და ითხოვს საფუძვლიანს გარჩევას. ხოლო თუ „კვალის“ პუბლიცისტმა, სერიოზულის კრიტიკის ნაცვლად, ლანძღვა-გინებას მიჰმართა, სჩანს მხოლოდ ეს დაჟანგული დ სამარცხვინო იარაღი ჰქონია თავისის აზრების დასაცველად! [3])

ბ-ნ ვ. წ. ახალ-გაზდა და გულწრფელი მუშაკია. მას არავისთან არავითარი პირადი ანგარიში არა აქვს. თუ ის, ან სხვა ახალგაზდა მუშაკი, თავისს აზრს, თავისს შეხედულებას გულწრფელად გამოსთქვამს ლიტერატურაში ამა თუ იმ საგნის შესახებ, ლანძღვა-გინებითა და პირადობის შეურაცხყოფით მიგებება რა საკადრისია და რითია სასარგებლო?! გირჩევთ, „კვალის“ პუბლიცისტო, ამ გვარს გზას თავი დაანებეთ, ლიტერატურულის ზრდილობიანობის გაგება ძნელი არ არის და დროც არის სწორედ! დროა-თქო, იმისთვის ვამბობ, რომ მომავალი თაობა საგულისხმოდ ზნეობითაც დ ცოდნითაც ჩვენზედ უფრო მაღლა იდგება და გაფრთხილებთ, საქმეს იქამდის ნუ მიიყვანთ, რომ თქვენს სახელს მომავალი თაობა იმ გრძნობით იხსენებდეს, რა გრძნობითაც რუს ახალგაზდა დღეს ბულგარინის, ბურენინის, დიაჩენკო-ნეზლობინის, ციტოვიჩის და tuti quanti-ს სახელებს იხსენებს. Sapienti sat!

ლალი.

---

[1]) არ შეგვიძლიან, აქ ერთი საკვირველი გარემოება არ აღვნიშნოთ: ნუ-თუ ამ „მცირე შენიშვნის“ ავტორი, ეს ნეტარ-ხსენებულის შულცედელიჩის მკრთალი აჩრდილიც „მესამე დასის“ მწერალია?!

[2]) იაფისა და საზოგადოდ კრედიტის შესახებ და აგრეთვე ასსოციაციების გამო შეიძლებოდა ამოგვეწერა მრავალი ადგილები სხვა-და-სხვა მეცნიერის თხზულებიდგან, მაგრამ, სამწუხაროდ, წყაროები ხელთ არა გვაქვს. ამიტომ მხოლოდ გავახსენებთ მკითხველებს: „სიტყვებს შულცე დელიჩის წინააღმდეგ, კარლ მარქსის „კაპიტალის“ ორსავე ტომებს, იმისსავე თხზულებას „Misère de la philosophie“, როდბერტუსის „კაპიტალს“, რიკარდოს თხზულებებს და სხვებს.

[3]) შეუძლებელად მიგვაჩნია იმ უწმინდურის სიტყვა-პასუხის ამოწერა, რომელზედაც „კვალმა“ დაამყარა და ააშენა თავისი „მცირე შენიშვნა“.

დის ინტელიგენცია სცდილობს ფინლიანდიის ერს თავისი მეფობის წარსული არ დააკარგვინოს და რაღაც იმედებს უნერგავს გულში. ამ რიგად ამ დაწესებულებაში „პოლიტიკასაც" მისდევენ და არა მარტო ხალხის განათლებასაო. ამ რიგად სასიამოვნო არისო, ამბობს იგივე გაზეთი, მთავრობამ თავისი დახმარება რომ არ აღმოუჩინა ხსენებულს უნივერსიტეტსა. ეხლა თუ ისიც მოახერხა, რომ „სახელმწიფო უფლების" სწავლასაც აღუკრძალავს, მაშინ ხომ სულ კარგი იქნებაო...

—

მარტიდგან დაწყებული პეტერბურგში ახალი სურათებიანი ჟურნალი „ზემლია" უნდა გამოვიდეს ფ. ნ. ბერგის რედაქტორობით. ეს ჟურნალი გაეგზავნება, სხვათა შორის, ყველა იმას, ვინც ამას წინად აღკრძალულ გაზ. «რუსკ. ჟიზნ.»-ის ხელის მომწერი იყო.

—

იმიერ-კასპიის რკინის გზის მმართველობას მიუმართნია რუსეთის გუბერნატორებისათვის, რუსი-მუშა ხალხი მოგვაშველეთო რკინის გზაზედ, რათა ადგილობრივი მცხოვრებლები და სპარსელები დავითხოვოთ სამუშაოდგანაო. მუშებს წელიწადში 180 მან. ექნებათო ჯამაგირი. ამ მუშებს კასპიის რკინის გზაზედ მუქთად წაიყვანენ, ხოლო სხვა გზებზედ და ზღვაზედ გზის ხარჯს გაუნახევრებენ.

ამ ბრძანებით თან-და-თან აკლდებათ ადგილობრივს მცხოვრებლებს სარჩო ცხოვრებისა. ერთის მხრით უმოწყალოდ დარჩენა, მეორეს მხრით ხალხის გამრავლება აიძულებს ადგილობრივს მცხოვრებ მუშა ხალხს გარეთ ეძებოს ხოლმე სარჩენი შრომა. ეხლა, რადგან განუზრახავთ, თუ არ რუსი, არავინ მიიღონ მუშებად. რაღა თქმა უნდა, რომ გაუჭირდება აქაურს ხალხს ცხოვრება, და თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ქართველი გლეხიც მიდის ამ ჟამად სამუშაოდ იმიერ-კასპიის მხრისაკენ, მაშინ ეს ახალი ზომა ჩვენს მდაბიო ხალხსაც მოუტანს ვნებასა.

—

ყელჭირვების წინააღმდეგ შრატის მომზადება ამ ჟამად უკვე დაუსრულებია საკურნალო წამლების საცდელს ინსტიტუტს. თითოეული შუშა შრატი ეღირება 2-დგან 3 მან. მკურნალებმა, მეაფთიაქეებმა და სხვა დაწესებულებათ უნდა მიმართონ ინსტიტუტის კანცელარიას.

ინფლუენცას მძვინვარების გამო აფთიაქებს იმდენი სამუშაო აქვთ, რომ საქმეს ველარ ასდიან. მეაფთიაქეები პროვინციიდგან იწვევენ ფარმაცეფტებს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

არა ერთხელ გაგვიგონია და წაგვიკითხავს ჩვენში ჩივილი, რომ ქართული ენა თან-თან ირყვნება და ფუჭდება, რომ საჭიროა ამ საგანზედ მოლაპარაკება და ამა თუ იმ დადგენილების მიღება. მაგრამ ენის გაფუჭების შესახებ ჩივილი მარტო ქართველების ხვედრი არა ყოფილა. „ნოვ. ვრ."-შია მოყვანილი ამ გვარი ჩივილი რუსების მწერლებისა, რომელიც 1810 წელს წარმოუთქვამს ჟურნ. „რუს. სტ."-ში ლ. პალიცინს.

„ჩვენი საუცხოვო სამშობლო ენა, რომელიც გამოჩენილის მწერლების მეოხებით უდიდეს წერტილამდე ავიდა, კვლავ ფუჭდება და ეხლა იმ ტრედიაკოვისებურობას წარმოადგენს, რომლიდგანაც იგი ამას წინად იყო განთავისუფლებული.

თუ ენის შიში რუსებს ჰქონიათ და აქვთ კიდეც, მაშ, ათასჯერ უფრო საშიში არ არის ქართული ენის მდგომარეობა? ჩვენს ენას არა აქვს ის ვარჯიშობა, როგორიც რუსულს ენასა აქვს: არც სასამართლოში, არც სასწავლებლებში და არც სხვა დაწესებულებაში. ამიტომ განვითარებას იგი მოკლებულია. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უფრო შიშში უნდა ვიყოთ, რადგანაც არ ითქმის, რომ ქართულს ენას მაინცა-და-მაინც კარგი დარი ჰქონდეს დამდგარი.

—

„საერთო გაზეთის" თანამშრომელი საჯაროდ აცხადებს იმ ბაასის შინაარსს, რომელიც მას ბოლგარიის მინისტრ-პრეზიდენტ სტოილოვთანა ჰქონია ვენაში. სტოილოვი უმტკიცებდა თურმე,

რომ ამ უკანასკნელს დროს ბოლგარიასა და რუსეთს შორის ურთიერთობა არაფრით შეცვლილა. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ურთიერთობა უფრო გამტკიცდებოდესო (?), მაგრამ ბოლგარია ამას არავითარს მსხვერპლს არ შესწირავსო. რაც შეეხება ცანკოვის გავლენას, იგი მეტად უმნიშვნელოა და ის ხმაც ტყუილია, ვითომ მას მთავრისათვის საპოლიტიკო გეგმა წარედგინოსო. რაც შეეხება სტამბულოვს, ის-კი უკვე მკვდარია. ხოლო ის ხმა, ვითომ სტამბულოვი სამართალში მიეცეთ, გამოგონილია; იმან თავისის ნებით სთქვა უარი მინისტრობაზედ, რადგანაც მეტს ხანს აღარ შეეძლო ამ თანამდებობის ასრულებაო. მთავრის მდგომარეობა სავსებით გამორკვეული და თავისს დონეზეა დამდგარი და მთავრობა ეკონომიურ ცვლილებათა შემოღებას შეუდგაო.

## ფერმა სკოლები (Fermes-Ecoles) საფრანგეთში.

ამ სახელით იწოდებიან საფრანგეთში დაბალის ხარისხის პრაქტიკული, საერო სამეურნეო სასწავლებლები, რომელთაც აზრად აქვთ: გაავრცელონ სამეურნეო განათლება თვით „პატარა" მეურნეთა შორის, რომელთაც შეძლება ნებას არ აძლევს ჰგზავნონ თავიანთი შვილები სამეურნეო სასწავლებლებში და გასწიონ დიდი ხარჯი.

როგორც თვით ამ სკოლების სახელი გვიჩვენებს, ისინი არიან დაარსებულნი ფერმებთან. ისტორია ამ დაწესებულებათა იწყება ჩვენის საუკუნის დასაწყისშივე.

1798 წელმა ფრანგის გონება და აზრი სხვა უფრო მაღალ საგანისკენ გაიტაცა, მეურნეობას დროებით მხარი აექცევინა და მიავიწყებინა. მაგრამ მეურნეობამ ისევ მალე აგრძნობინა თავი და ნამდვილ მამულის შვილთა დიდი ყურადღება მიაქციეს ამ საგანს. მაშინდელს საფრანგეთში, სადაც ხალხის ბედ-იღბალი თვით ხალხს არ ებარა, ეს საზოგადო საქმე კერძო პირს უნდა ეკისრა. მართლაც 1818 წელს ერთმა ცნობილმა ქიმისტმა,— მათე დომბალმა წარადგინა პროექტი ფერმა-სკოლის დაარსებისა (ლორენში). ადგილობრივმა პრეფექტმა თანა-უგრძნო ამ კეთილს საქმეს, თავისის მხრივ გადასდო 45000 ფრანკი და ჩააბარა დომბალს. წახალისებული დომბალი ამ თანაგრძნობით, ფიცხლავ შეუდგა საქმეს. დაიქირავა ერთი მამული 20 წლით და ისე კარგად წაიყვანა საქმე, რომ მალე ქარხანაც გაიჩინა მაშინდელ სამეურნეო იარაღების გასაუმჯობესებლად*) და დაიწყო სამეურნეო გაზეთის გამოცემაც და ამ რიგად დომბალი საქმით და სიტყვით მხნედ შეუდგა რუტინასთან ბრძოლას, რომელიც იქნობამდის დაუძლევლად მიაჩნდათ. მალე გამოუჩნდნენ თანამგრძნობნიც მისს კეთილს აზრს და წლიურად 3000 ფრ. დაუნიშნეს. ამ მცირე დახმარების მიუხედავად დომბალის ფერმა-სკოლის საქმე მაინც კარგად მიდის და ოცის წლის განმავლობაში სამშობლოს 300 განათლებული მეურნე გამოუზარდა. ამისთანა თავის განწირვა და მაგალითი უმნიშვნელოდ არ დარჩა**). 1827 წლიდგან დაწყებული ზედი-ზედ არსდება კერძო პირებისაგან და ამხანაგობათაგან რამდენიმე ფერმა—სკოლები და ერთიც ინსტიტუტი (გრინიონში) ახალ-გამოგონილ სამეურნეო მანქანების საცდელად.

შემდეგ თან-და თან თვით მთავრობაც ცხადად ჰხედავს მეურნეობის მნიშვნელობას და ჰგრძნობს უსაჭიროესად და თავისს ვალად, უპატრონოს ამ საქმეს. მთავრობის განკარგულებით სკოლის გახსნის ნება იმ ფერმის პატრონს ეძლეოდა, ვისაც დირექტორობაც შეეძლებოდა, რისთვისაც შესაფერი განათლება უნდა ჰქონოდა. ფერმის შემოსავალ-გასავალი მთლად დირექტორს ეკუთვნოდა. დანიშნულს რიცხვს მოწაფეებისას თვით მთავრობა კისრულობდა, დანარჩენები ხარჯს იხდიდნენ (700 ფრ.)

მაგრამ მთავრობამ მალე ეს 16 ფერმა-სკოლა საკმარისად ვერ სცნო. რომ დაქვეითებული მეურნეობა ჯეროვანს გზაზედ დაეყენებინა და 1849 წ. გადასწყვიტა თითო ფერმა-სკოლა დაეარსებინა თითოეულს საფრანგეთის მაზრაში (arrondinement).

გავიდა დრო და ამ ფერმა-სკოლებმაც იცვალეს ფერი: ზოგი საშუალო სასწავლებლად გადაკეთდა, ზოგიც პრაქტიკულ სამეურნეო სასწავლებლად, სადაც გაცილებით ტეორიამ მეტი ადგილი დაიჭირა და თვით მათი პროგრამაც შესამჩნევად შეიცვალა. ამ ჟამად 16 ფერმა—სკოლა-ღაა საფრანგეთში. აი მათი აწინდელი მდგომარეობაც. ის პრინციპი, რომ დირექტორად თვით ფერმის პატრონი უნდა იყოს და ფერმის შესავალ გასავალი თვით მას უნდა ეკუთვნოდეს, ისევ დარჩა. გარდა ამისა ეძლევა მთავრობისაგან კიდევ ჯამაგირი. მოსწავლის (საფრანგეთის მამულიშვილის) შენახვას მთავრობავე კისრულობს და უნიშნავს 4 მასწავლებელს: ქიმიისას, მათემატიკისას, მებაღეს და ვეითალს; მეურნეობის (agriculture) გაკვეთილები კი დირექტორზეა მინდობილი. თეორიას დღეში მხოლოდ ერთს ან ორს საათს ანდომებენ, დანარჩენი პრაქტიკაა. სწავლა გრძელდება ან 2 ან 3 წელს. ხალხის წასახალისებლად ეს სასწავლებლები არამც თუ უფასოა ყველა ფრანგისათვის, არამედ გათავებისას ეძლევათ დიპლომის გარდა, (რომლითაც მათ უეჭველინოთ შეუძლიანთ შესვლა პრაქტიკულს სამეურნეო სასწავლებელში) კიდევ საჩუქრად 300 ფრანკი, პირველს და მეორე შეგირდს გარდა ამისა კიდევ—ერთს 300 ფრ. და მეორეს 200.

უცხოელი-კი წელიწადში იხდის 270 ფრ. (10 თუმ.) შესანახს ფასს. მიიღებიან ყველანი ცოდნის მიუხედავად და, რაც შეეხება წლოვანებას, 16 წელზედ ნაკლები-კი არ უნდა იყოს. აი, ზოგიერთი ფერმა-სკოლის ადრესიც.

1.-Ferme Ecole de Laumoy, près de Châtelet (შუა საფრანგეთშია). (Cher).

2. Ferme-Ecole de Chazeirolettes. Serverettes (Lozère).

3.-Ferme-Ecole de Nolhac. Saint Paulin. (Haute-Loire). და სხ. ეს ორი უკანასკნელი სამხრეთს საფრანგეთშია.

ნიკო აღნიაშვილი.

*) ეს ქარხანა ეხლაც არსებობს დომბალის სახელით ქ. ნანსში. მისივე სახელით იხსენებიან მრავალი სამეურნეო იარაღები მისგან გადაკეთებულ-გამოგონილნი, რომელნიც დღეს სამსახურს უწევენ დღევანდელს მეურნეობას.

**) ამ მამულისშვილის მოსაგონებლად ქ. ნანსში მისთვის ძეგლი აუგიათ თავისის საყვარელ გუთნით. მისივე სახელით იხსენიება ნანსის სამეურნეო სასწავლებელიც.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი**. პარლამენტში ადმირალი ბერნარი კვლავ ამტკიცებს, რომ ხმელთა შუა და ჩრდილოეთის ზღვების ფლოტი ისეა კარგად შეიარაღებული, რომ თამამად გაუმაგრდება და შეებრძოლება ყოველს მტერსა.

საფრანგეთის არტილერიას დედამიწის ზურგზედ ვერც ერთი არტილერია ვერ შეედრებაო; ჩვენს ზარბაზნებს მეტოქე არა ჰყავს არავინაო. ჩვენ კვლავ შევუდგებით საომარ გემების აშენებას. გამარჯვებული ის არის, ვისაც ბრძოლის შემდეგ ზღვაზედ გემები შერჩებაო. ჩვენ ყოველი ღონისძიება მოვიხმარეთ, რომ უშიშარ ვყოთ, როგორც ჩვენი ზღვის ნაპირები, ისე სრუტეები. პარლამენტი დიდის აღტაცებით მიეგება მინისტრის სიტყვებს.

—

**ინგლისი**. თუმცა ლორდ როზბერი უქეიფოდ არის და ექიმებიც წამლობას ურჩევენ, მაგრამ იგი მაინც არა ფიქრობს დასვენებასა და ამ დღეებში სამხრეთისკენ გამგზავრა, სადაც გლადსტონთან ჰსურს ზოგიერთს სახელმწიფო საქმეებზედ მოლაპარაკება.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

ზოლას გათავებია კიდეც ახალი ახალის რომანისა, რომელსაც „Pome"-ი ეწოდება. ამ რომანში 40 ადამიანი იქნება გამოყვანილი, წიგნი 50—60 გვერდს შეიცავს და 16 მუხლი ექნება. წიგნში, სხვათა შორის, რომის პაპიც ექნება გამოყვანილი. პაპის შესწავლას დიდის გულმოდგინებით შესდგომია ზოლა. ქ. რომი სამის მხრივ იქნება აღწერილი: რომი პაპისა, ანტიკური და კვირინალისა. თითონ ზოლას უთქვამს ერთის კორესპონდენტისათვის: „ერთის სიტყვით, ჩვენშა-კი იყოს და, ერთობ დიდს შრომას მოვკიდე ხელი"-ო.

## წვრილი ამბავი

გამოჩენილი რუსის სარდალი სუვოროვი ძალიან ახირებული კაცი იყო. მაგ. თუ ვინმე სძაგდა, ცხვირსახოცში ჩააფურთხებდა. თუ დაინახავდა, რომ ვინმე მოიქცა ასე, იმ წამსვე უბრძანებდა კარში გაეგდოთ. მაგრამ თუ ცხვირსახოცში ჩაფურთხებას ვინმე წარჩინებული კაცი გაჰბედავდა, რომლის გაგდება შეუძლებელი იყო—სუვოროვი აქაც არ იშლიდა თავისას: ამ შემთხვევაში უბრძანებდა ხოლმე დამნაშავეს მაგიერ, სხვა, უფრო დაბალ ხარისხის კაცი გაეგდოთ და ერთხელ დადგენილი წესი მაინც მოჰყავდა სისრულეში.

## გასართობი

—

გუშინ წინ, 6 მარტს, „წერა კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში შეკიდა ვიღაც ასე 30 წლის, გასუნებულს ევროპულს ტანისამოსში ჩაცმული და ნაბად-წამოსხმული უმაწვილი კაცი და პირდა-პირ საზოგადოების მდივანს დ. კარიჭაშვილს მიჰმართა: „მე მინდა თქვენი საქონელი ვიყიდო, ერთის მილიონის წიგნები ამირჩიეთ და გამომგზავნეთ სასტუმრო „კერსალ"-ში, № 9. ხუთის მილიონის წიგნებიც ახალციხეში გამომიგზავნეთ, სადაც წიგნის ვაჭრობასა ვმართავ. წიგნები ნახევარ ფასად დამითმეთ და როცა გავყიდი, ნახევარს მოგებას თქვენ მოგცემთ. ამას გარდა, თქვენ ჩემს მოურავად ამიყვანიხართ და წელიწადში ხუთასს თუმანს გინიშნავთ." მდივანს დავთარი დაებნა და გაოცებით თვალებ გამოშტერებულს აღარ იცოდა რა ექმნა. მხოლოდ ამ ორის სიტყვის კითხვა-და მოახერხა: „თქვენი სახელი?"—„გენერალი პავლე დემუროვიჩ", უპასუხა უცნობმა. „არა მგონია, რომ ახალციხეში მაგდენი წიგნები გაიყიდოსო", სთქვა ახლა-კი ცოტა გონებაზედ მოსულმა მდივანმა. „როგორ არა, ასი ათასი მცხოვრებელია იქა. ამას გარდა, აფიცრები გავგზავნე და მთელის დედამიწის ზურგიდგან ხალხს მოჰკრებენ, რომ ეგ წიგნები იყიდონ. ჰო, ათასი ფუთიც ღვინო მიყიდეთ და გამომიგზავნეთო."—„ბატონო, ჩვენ ღვინოს არა ვყიდით".—„რა ვუყოთ, სხვაგან იყიდეთ და გამომიგზავნეთ, მაშ რის მოურავი ხართო?" „მოურავიც", რა ექმნა, დაეთანხმა უცნაურს ბატონს და უცნობი ამაყად გავიდა მაღაზიიდგან.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

სასიხარულოდ და სასიქადულოდ ჩვენდა უნდა აღვნიშნოთ, რომ ს. მეჯვრისხევის საზოგადოებამ ამ ბოლო ხანებში შესამჩნევი და თვალსაჩინო სიფხიზლე, ხალისი და კეთილ მიზნისადმი მიდრეკილება გამოიჩინა. აქაურ ახალგაზდა ქალ-ვაჟთა წრემ, ერთის ფიქრით და აზრით გამსჭვალულმა, ხელი ხელს მისცა, პირი პირს და საქვეყნოს ერთგულებით სცდილობს აღძრას საზოგადოებაში ხალისი და დანერგოს სიყვარული ქართულის წარმოდგენებისა და ამითი „ვინმეს" ან „რაიმეს" მატერიალურის მხრივაც დახმარება აღმოუჩინოს.

ამ მიზნით აქ ხშირად იმართება წარმოდგენები, რომელთაც ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ჩინებულის

ლექსებისა და სცენების კითხვა, მშვენიერის კილოთი და მწყობრის ხმით სიმღერები და ბოლოს ლეკური.

საზოგადოებამაც დააფასა ეს ამათი ცდა და დაიმსახურა მათი ნდობა: ის დიდის ხალისით ესწრება ყოველს წარმოდგენას და აძლევს დახმარებას, შემწეობას წარმოდგენებისათვის საჭირო ტანისამოსისა და ავეჯეულობის მხრით და სხ.

ერთი ამგვარი წარმოდგენა გაიმართა აქ ყველიერში, თებერვლის 9-ს, ადგილობრივის სკოლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. წარმოადგინეს «ახირებულია» და „დილა ქორწილის შემდეგ“, ვოდევილები ბ. ყიფიანისა და ყაზიბეგისა. წარმოდგენამ, საზოგადოდ, რიგიანად ჩაიარა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სულ ორი-სამი დღე ემზადებოდნენ და ცუდი ამინდებიც ხელს უშლიდათ.

წმინდა შემოსავალი, სცენისთვის საჭირო ხარჯს გარდა, დარჩა ოცდა-სამ მანეთამდე.

15 თებერვალს ამ წარმოდგენის მოთავეებმა ქ-ნმა მელანია ხახუტაშვილმა ბ. ბ. გიორგი ხმალაძემ და ანდრია ჩუბინაშვილმა იყიდეს წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები სკოლაში, სადაც არის სასწავლო ნივთების საწყობი, და თავისის ხელით დაურიგეს ღარიბს მოსწავლეებს: 1) ოც-და-ათი ცალი სხვა-და-სხვა ქართული და რუსული სახელმძღვანელოები, ღირებული 10 მან. და 60 კაპ., 2) ათი დაფა—1 მ. და 6 კ. 3) 122 ცალი რვეული 3 მან. და 66 კაპ. და 4) 62 ცალი გრიფილი—24 კაპ., სულ 15 მანეთისა და 57 კაპ., ხოლო დანარჩენი 7 მანეთი გადასცეს სცენის მოსაწყობად.

როგორც მასწავლებელი ხსენებულის სკოლისა, უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა ჩემის სკოლის მოსწავლეებთან ერთად *): ქ-ნ მ. ხახუტაშვილს და ბ-ნ გ. ხმალაძეს, როგორც მოთავეებს და წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ, ქ-ნს ო. თულაშვილს, ბ.ბ. ა. ჩუბინაშვილს, კ. თულაშვილს და მ. ლოლაძეს, ადგილობრივის სცენის მოყვარეთ, ღარიბ მოსწავლეთა დახმარებისათვის და წარმოდგენაზედ დამსწრე საზოგადოებას—თანაგრძნობისათვის. ამასთანავე განუსაზღვრელს მადლობას ვსწირავთ მიხეილ ალექსანდრეს ძე ბ. შანშიევს, რომელმაც ათი მანეთი ფული შესწირა ამ წარმოდგენას, თუმცა-კი თვით წარმოდგენას ის სამსახურისა გამო ვერ დაესწრო.

მეჯვრისხევის სკოლის მასწავლებელი
თეოფ. კანდელაკი.

ს. მეჯვრისხევი.
2 მარტი.

—

„ივერიის“ მე 32 №-ში დაბეჭდილია“ წერილი რედაქციის მიმართ ბ ნ ალექსანდრე დავითაშვილისა, რომელიც სთხოვს უველა იმათ, ვინც-კი რამე იცი იმის შესახებ, თუ როგორ, ან ვის უნდა მიჰმართოს თხოვნით ჩვენმა უმი-

*) მიზეზი ამ წერილის დაგვიანებისა გახლდათ ქვემორე ამისა ხელის მომწერლის დღეის რიცხვამდის ავადმყოფობა.

თ. კ.

წა-წულოდ დარჩენილმა ხალხმა, რომლებსაც ჯსურთ გარდასახლდნენ შავის ზღვის ოლქის თავისუფალს მამულებშიო“. შავის ზღვის ოლქის სახელმწიფო მამულებში, როგორც ვიცით, გარდა რუსებისა სხვა ხალხს დასახლების ნებას არ აძლევენ. მხოლოდ ნამდვილად არ ვიცით, ეს განკარგულება მარტო სოხუმის ოლქში არის, თუ მთელს შავის ზღვის ნაპირას ადგილებში. როგორც ვიცით, მრავალი მთხოვნელი მისულა სათხოვნელად სოხუმის ოლქის უფროსთან წარსულის წლის განმავლობაში.

სხვათა შორის, სამი გლეხი გორის მაზრიდგანაც იყვნენ, რომლებმაც სთხოვეს ოლქის უფროსს, მოგვეცით შემწეობა და გვიშუამდგომლეთ, სადაც ჯერ არს, რომ მოგვცენ დასახლების ნება სოხუმის ოლქის რომელიმე სახელმწიფო მამულებშიო. მაგრამ პასუხად ოლქის უფროსისაგან წმინდა უარი მიიღეს და უთხრეს, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისაგან მოწერილობა გვაქვს, ბრძანება (приказъ), სოხუმის ოლქის სახელმწიფო მამულები გარდა რუსებისა სამოსახლოდ არავის არ მიეცემა, რადგან მთავრობას ჰსურს, შავის ზღვის ნაპირა ადგილები რუსის გლეხებით დაასახლოს და არა ქართველებითაო. აქედგან ცხადად სჩანს, რომ თუ უმაღლესს მთავრობას არ სთხოვეს და ნება არ აიღეს იქიდგან, სხვასთან შუამდგომლობა და შრომა უოვლად უსარგებლო იქნება. რაც შეეხება კერძო მამულებს, თავად-აზნაურთა და კერძო კაცთაგან უველას შეუძლიან შეიძინოს იაფად სხვა-და-სხვა პირობებით. კერძო კაცთაგან რომ იაფად შეიძლება ადგილის შეძენა, ეს იქიდგან სჩანს, რომ ამას წინად თ. ზ. ერისთავმა, რომელსაც ქ. სოხუმის მახლობლად აქვს კარგად მოზრდილი მამული, ზომით ათას ოთხას დესეტინაზედ მეტი იქნება (დესეტინა $2^{3}/_{4}$ ქცევაა), მოინდომა მიეყიდა უმამულო გლეხებისთვის, თითოსათვის არა უმეტეს ოცის დესეტინისა; თითო დესეტინა აძლია, თუ არა ვცდებით, 50 მან. და გარდასახადსაც, ესე იგი ფასსაც ნაწილ-ნაწილად სთხოვდა, როგორც მოხსენებულიც იყო ამას წინად „ივერიაში“. მაგრამ, საუბედუროდ, ეს სიღარიბის გამო გლეხებმა ვერ მოახერხეს და ხელიდგან გაუშვეს იმისთანა მამული, რომელშიაც ხე-ტყე იმდენი მოიჭრებოდა, რომ თავისს ფასს გარდიხდიდა და ადგილი-კი თითქმის უფასოდ დარჩებოდათ, რადგანაც ამ ადგილში დესეტინაზედ ხუთის თუმნის ხე-ტყეზედ მეტი მოიჭრება.

შემდეგ პატივცემულმა თავადმა ზ. ერისთავმა თავისი მამული ერთს მოსკოველს მდიდარს კაცს ერთიანად მიჰყიდა და საზოგადოდ, ამ მხარეში ვისაც გადმოსახლება უნდა, უკეთესი იქნება კერძო კაცთაგან შეიძინოს მამული, ან ფულით ან იჯარით და სხვა-და-სხვა პირობებით. სახელმწიფო მამულებში დასახლება ჯერ-ჯერობით ჩვენთვის შეჩვენებულია.

ბახველი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 მარტი.

**პეტერბურგი**, 7 მარტი. როდესაც ასტრახანის გუბერნატორმა მოახსენა ხელმწიფე იმპერატორს, რომ ხალხში დიდი სურვილია გავრცელებული სწავლა-განათლებისაო, მოხსენებას შემდეგი დააწერა: «საჭიროა შემწეობა აღმოუჩინოს ხალხს ამ არსებითად მისთვის საჭირო საქმეში. ამ გვარსავე საგნის შესახებ ხერსონის გუბერნატორის მოხსენებაზედ ხელმწიფემ ბრძანა: «მივაპყრობ განათლების მინისტრის განსაკუთრებულს ყურადღებას ამ საგანს.

გამოცხადებულია, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროს მმართველი თ. ლობანოვ-როსტოვსკი დამტკიცებულ იქმნა გარეშე საქმეთა მინისტრად.

**ალჟირი**, 6 მარტი. მემკვიდრე ცესარევიჩი აქ მობრძანდა.

**მადრიდი**, 6 მარტი. საგასტას სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება. ამის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ აფიცრებსა და მწერლობის წარმომადგენლებს შორის უთანხმოება არსებობს. მარტინეც კამპოსი დაინიშნა მადრიდის ჯარების სარდლად.

**ნიუ-იორკი**, 6 მარტი. ხმელთაშუა ზღვის ბრიტანიის ესკადრა თურმე აღმოსავლეთისკენ აპირებს წასვლას.

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**სადგ. განჯა, ბ-ნს ს. დოლიძეს.** მივიღეთ თქვენი „პასუხის პასუხი ბ. ზ. უზნაძეს“, მაგრამ არ ვბეჭდავთ, რადგანაც თქვენი საკამათო საგანი საკმაოდ გამორკვეულია და შემოსავალიც შკვე გაეგზავნათ დანიშნულებისამებრ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათანეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი **მ. ტურბოვიჩი**. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—$1^{1}/_{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

**ა. გ. გურკო**. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

# დამზღვევი საზოგადოება
# „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუგეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემების ნავთ-სადგურებზედ.

50—6—12

დამზღვევი საზოგადოება

# „იაკორი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2) იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში.

(100—721—»)


Дозвено цензурою, Тифлисъ 7-го Марта 1895 г. | სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა | რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე